ოქმი:**ო12. 3723304001**

თარიღი:**31/10/2023**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 27 ოქტომბერი
ქ.ოზურგეთი
17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ვლ. ხავთასი, ქ. ვასაძე, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ბ. მელუა, დ. მდინარაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

კომისის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა, კომისის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი. როგორც მან აღნიშნა საბიუჯეტო ცვლილების პროექტის თანახმად გათვალისწინებულია განათლების დაფინანსების ზრდა 194.9 ათასი ლარით. მათ შორის სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსების ზრდა 50,0 ათასი ლარით. პროექტის თანახმად კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება იზრდება 726,2 ათასი ლარით. აქედან კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობის დაფინანსება იზრდება 68,5 ათასი ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი